სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 7 21 0000627220

24/06/2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის #71 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2021 წლის 25 ივნისს გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად 4 წლის ვადით, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის #71 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო პირობების შესაბამისად.
2. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2021 წლის 26 ივლისიდან და გაგრძელდეს 30 ივლისის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, შესაბამის საკონკურსო კომისიის სამდივნოში.
3. კონკურსი ჩატარდეს 2021 წლის 09 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2021 წლის 16 აგვისტოსი შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

4. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს პრესაში, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე